არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი

ტომ ნიუბერნი

კრიმინოლოგები დიდი ხანია საუბრობენ რომ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური უთანასწორობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარკვეულ საზოგადოებაში დანაშაულის დონის განსაზღვრაში, ასევე იმის დადგენის პროცესში, თუ რატომ მონაწილეობენ კონკრეტული პირები დანაშაულებრივ ქმედებებში. დანაშაულის მკვეთრმა მატებამ, რომელიც 1950-იანი წლებიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა, დაამსხვრია ყოველგვარი ზედაპირული წარმდგენები იმის შესახებ, რომ კეთილდღეობის დონის ზრდა, გარდაუვლად იწვევს დანაშაულის შემცირებას. ასევე, ბოლო წლებში დანაშაულის რიცხვის შემცირებამ ანალოგიურად შეარყია იდეა ეკონომიკურ კრიზისსა და დანაშაულის დონეს შორის მარტივი კავშირის შესახებ. კრიმინოლოგიური თეორია, ყურადღებას ამახვილებდა არახელსაყრელ სოციალურ მდგომარეობაზე, როგორც იმ ფაქტის ახსნაში ცენტრალურ საკითხზე და განსაკუთრებით იმის შედეგზე, რომ სისხლის სამართლის სისტემები ძირითადად ორიენტირებულია სოციალურად მოწყვლადი ფენის დანაშაულებზე, ვიდრე სოციალურად პრივილეგირებული ფენის „დანაშაულებებზე“.

მართლაც, როგორც რეინერი (2007: 341) აღნიშნავს, ტერმინი „ბოროტმოქმედი“ (*‘villain’*) ეტიმოლოგიურად მომდინარეობს შუა საუკუნეების პერიოდის ფრანგული სიტყვიდან გლეხი (*‘peasant*), ხოლო სიტყვა „თაღლითი“ (*‘rogue’*) მომდინარეობს ლათური სიტყვიდან - „ღატაკი“ (*‘beggar’*). ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ამგვარ ასოციაციურ წამოდგენებს დიდხნიანი ისტორია აქვს. მოცემულ ტექსტში, მე ვიკვლევ რამდენიმე კომპლექსურ ურთიერთკავშირს დანაშაულს, დასჯასა და სოციალურ (არა)უპირატესობის სხვადასხვა გამოვლინებებს შორის.

ეს თავი ოთხ დიდ საკითხს შეეხება. პირველი, თუ როგორ და რა ფორმით ახდენს გავლენას დანაშაულის დონეზე ეკონომიკური პირობები. მაგალითად, არის თუ არა უმუშევრობის დონე ან ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ან გაუმჯობესება დაკავშირებული კრიმინალის დონის და დანაშაულის ცვალებადობასთან. მეორე, რა კავშირია სოციალურ უთანასწორობასა და დანაშაულის დონეს შორის, გაზრდილი სოციალური უთანასწორობა გარდაუვლად ზრდის თუ არა დანაშაულის დონეს და

პირიქით. მესამე, რა გზებით არის დაკავშირებული მატერიალური და სოციალური უთანასწორობა დანაშაულებრივ ქმედებასა და ვიქტიმიზაციის ფორმებთან. და ბოლოს, ახდენს თუ არა გავლენას სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის სასჯელის პოლიტიკა სოციალურ უთანასწორობაზე.

ეკონომიკური მდგომარეობა და დანაშაული

დღეისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომეტრიული ლიტერატურა არსებობს გაბატონებულ ეკონომიკურ პირობებსა და დანაშაულს შორის ურთიერთკავშირს თაობაზე. ის, რაც ამ სფეროში მარტივად ვლინდება, არის ცხადი კავშირი შემოსავალს, სიმდიდრეს, დანაშაულსა და ვიქტიმიზაციას შორის, თუმცა ის რაც ასეთი მკაფიოობით ხასიათდება, შორს არის სიმარტივისგან. ამის ილუსტრაცია შესაძლოა მოხდეს საყოფაცხოვრებო დონეზე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის რისკებზე დაკვირვებით და ეროვნულ დონეზე ქონებრივი დანაშაულის მასშტაბის შესწავლით. პირველ რიგში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საცხოვრებლის გაქურდვის რისკი არაპირდაპირ პროპორციულია ოჯახის შემოსავალთან (როზენფელდი და მესნერი, 2013). ანუ, დაყაჩაღების მაჩვენებლები არსებითად მაღალია ღარიბ ოჯახებში. თუმცა, ეროვნულ დონეზე ქურდობის დანაშაულის მაჩვენებელი იზრდება ეკონომიკური კეთილდღეობის პროპორციულად, რაც იზომება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით. რატომ არის ეს ასე? მარტივი პასუხია ის, რომ ეროვნულ დონეზე, ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მშპ, ფართოდ მიუთითებს კრიმინალური შესაძლებლობების დონის შესახებ (ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, რამდენია მოსაპარი), ხოლო საყოფაცხოვრებო დონეზე, ქურდობის სქემები განისაზღვრება სხვა ფაქტორებით, მათ შორის იმ ადამიანებთან სიახლოვით ვისაც აქვს ქურდობის მოტიცავია და უსაფრთხოების ძირითადი ზომების (არ)არსებობით. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მიმოხილვის თანახმად, ბოქსმა (1987) შეისწავლა ეკონომიკურ პირობებსა და დანაშაულს შორის კავშირის 50 ძირითადი ეკონომეტრიული კვლევა. მან აღმოაჩინა, რომ ორ-მესამედზე ნაკლები აჩვენებდა პოზიტიურ კავშირს უმუშევრობის ზრდასა და დანაშაულს შორის, დანარჩენი კი პირიქით. ეს არც თუ ისე რადიკალური შედეგები კიდევ უფრო გააბათილა ბევრ ზემოთხსენებულ კვლევაში მონაცემების სიზუსტეზე საფუძვლიანმა ეჭვებმა და იმ ფაქტმა, რომ გამოვლენილი დადებითი ურთიერთკავშირი ზოგადად სუსტად ვლინდებოდა.

კანტორმა და ლანდმა (1985), დაადასტურეს ზოგადად სუსტი კავშირი უმუშევრობასა და დანაშაულის დონესა შორის. ისინი ამტკიცებენ რომ ამ სფეროში ზოგიერთი დაბნეულობა

გამომდინარეობს ორი ცალკეული მიზეზობრივი კავშირის - პოზიტიური მოტივაციური ურთიერთობისა (უმუშევრობა ზრდის გარკვეული ფორმის დანაშაულის მიმზიდველობას) და ნეგატიური შესაძლებლობის ეფექტის (უმუშევრობა ამყოფებს ხალხს სახლში და ზრდის დაცვის საშუალებებს და ასევე ამცირებს საქონლის ხელმისაწვდომობას შემცირებული მოხმარებით) არევისგან. შედეგად, ისინი ამტკიცებენ, რომ უმუშევრობის დონესა და დანაშაულის დონეს შორის კავშირი შეიძლება იყოს პოზიტიური, ნეგატიური ან ნულოვანი, რაც დამოკიდებულია დანაშაულის ტიპზე. ამის საპირისპიროდ, ჰეილმა და საბაღმა (1991) აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი უმუშევრობასა და ძარცვას, ქურდობასა და ყაჩაღობასთან.

უმუშევრობის, როგორც ცვლადის მიმართ არსებულმა უკმაყოფილებამ - და უმუშევრობის მონაცემების მიმართ გაზრდილმა ეჭვებმა აიძულა მკვლევარები, რომ სხვადასხვა მეთოდებით ეკვლიათ მაკროეკონომიკურ ცვლილებებსა და დანაშაულის დონეს შორის არსებული ურთერთდამოკიდებულება. ამასთან დაკავშირებით, კანტორისა და ლანდის საქმიანობაზე დაყრდნობით, არვანიტესმა და დეფინამ (2006) შეისწავლეს ბიზნესის ციკლის გავლენა ქუჩის დანაშაულის დონეზე. კერძოდ, ინფლაციის დონის მიხედვით შესწორებული ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენებით, ისინი ამტკიცებენ, რომ 90-იან წლებში, შეერთებულ შტატებში არსებული ძლიერი ეკონომიკა, ამ პერიოდში ამცირებდა ქონებრივი დანაშაულების რაოდენობას, ეს კი მოტივაციის ეფექტთან უფრო მეტად მოდის შესაბამისობაში მეტად ვიდრე შესაძლებლობის ეფექტთან და „სოციალური დაძაბულობის და კონტროლის ხარისხთან“ (2006: 161).

მსგავსი შედეგები მიიღეს როზენფელდმა და ფორნანგომ (2007), რომლებმაც დაადგინეს, რომ 'სამომხმარებლო სენტიმენტი' მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული რეგიონალური საკუთრების დანაშაულის ტენდენციებთან და, პარალელურად, როზენფელდის (2009) კვლევამ ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ჩადენილი დანაშაულისა და მკვლელობის მაჩვენებლებზე 1970 და 2006 წლებში, დაადგინა, რომ კოლექტიური აღქმა ეკონომიკურ პირობებზე გავლენას ახდენს ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ჩადენილ დანაშაულზე - მაგალითად, მანქანის ქურდობაზე, ძარცვაზე და ყაჩაღობაზე - და რომ ეს, ირიბად, გავლენას ახდენს მკვლელობებზე.

ის ფაქტი, რომ მინიმუმ ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე დანაშაულის ძალიან მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისის ფონზე არ შებრუნებულა, საინტერესო კითხვებს აჩენს კრიმინალის დონისა და ეკონომიკის

ურთიერთკავშირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მზარდი ლიტერატურული ბაზა, რომელიც გარკვეულწილად ნათელს ფენს დანაშაულის ტენდენციების ზოგად ეკონომიკურ საფუძვლებს, დანაშაულის კლების განგრძობადი ტენდენციის ზუსტი მიზეზები ამოუხსნელად რჩება. ფილდის (1990) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დონესა და მოხმარებას შორის ურთიერთდამოკიდებულება გაცილებით ძლიერია, ვიდრე ამგვარ დანაშაულსა და უმუშევრობას შორის. მან დაადგინა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდის ტემპები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან, განსაკუთრებით, როდესაც მოხმარება სწრაფად იზრდებოდა, ქონებრივი დანაშაულის ზრდის ტენდენცია ნელდებოდა ან შებრუნდებოდა. ეკონომიკური რეცესიის დროს კი საპირისპირო სიტუაცია დგება. ფილდი ამ ზოგად ტენდენციას უფრო მეტად მოტივაციით ხსნიდა, ვიდრე შესაძლებლობით, იგი ამტკიცებდა, რომ მოხმარების ზრდა ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ჩადენილი დანაშაულის მიმზიდველობას ამცირებს. ფილდის დასკვნები მეტწილად შემოფარგლული იყო ქონებრივი დანაშაულის დონის მოკლევადიანი ცვლილებებით. შემდგომში, პაილმა და დედმენმა (1994) მიუთითეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის დონესა და ეკონომიკურ ფაქტორებს (როგორიცაა სამომხმარებო დონე და მშპ) შორის გრძელვადიან კავშირზე. ეს თეორია მკაცრად გააკრიტიკა ჰეილმა (1998), რომელმაც თავისი ანალიზით ხელახლა დაადასტურა, რომ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობასა და დანაშაულს დონეს შორის და კერძოდ, უმუშევრობის დონის ცვლილებები მნიშვნელოვნად და დადებითად იყო დაკავშირებული ძარცვის, ქურდობისა და ყაჩაღობის დონის ცვლილებებთან. ჰეილი (1998) ასკვნის, რომ მოხმარებას, როგორც ჩანს, ორმაგი როლი აქვს ქონებრივი დანაშაულის ტენდენციებისა და ცვლილებების ახსნაში, ეს კი დამოკიდებულია როგორც შესაძლებლობებზე, ასევე მოტივაციაზე. თუ ჩვენ მივიღებთ რუტინული საქმიანობის და შესაძლებლობების თეორეტიკოსების არგუმენტებს (მაგალითად, ფელსონი, 1995 წ.), რომ დანაშაულის ჩადენისთვის უნდა არსებობდეს სამი ელემენტი - მოტივირებული დამნაშავე, შესაფერისი სამიზნე და დაცვის არარსებობა - მაშინ, როგორც ჰეილი ამბობს: ... პერსონალური, პირადი მოხმარების (კონსუმერიზმის) *დონე* ზომავს სამიზნეების ხელმისაწვდომობას გრძელვადიან პერსპექტივაში (შესაძლებლობის ეფექტი), ხოლო მოხმარების დონის (კონსუმერიზმის დონის) ცვლილება ასახავს ბიზნესის ციკლის გავლენას დამნაშავეთა რიცხვზე (მოტივაციის ეფექტი) (1998: 696) .

ფილდის მიერ ძველი დასკვნების გადახედვისას, მისი შემდგომი კვლევების თანახმად, ქურდობის და ძარცვის სტატისტიკური მაჩვენებელი ფაქტობრივად უკავშირდება დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის რეზერვს, „რომელიც წარმოდგენილია თითოეული მომხმარებლის რეალური ხარჯების ჯამით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში“ (ფილდი, 1990). მისი გაანგარიშებით, შესაძლებლობების მარაგის ყოველი ერთი პროცენტული ზრდა იწვევს ძარცვისა და ქურდობის დაახლოებით ორი პროცენტით ზრდას.

რჩება ის, რასაც ჩირიკოსი (1987) უწოდებს „ეჭვის კონსენსუსს“ უმუშევრობასა და დანაშაულს შორის კავშირის შესახებ. მიუხედავად ჩატარებული რამდენიმე საინტერესო კვლევასა, რომელიც ფოკუსირებულია უფრო კონკრეტულ ეკონომიკურ ზომებზე, როგორიცაა მოხმარება, ეს არის მეტად ზოგადი სფერო, სადაც გადაკვეთების გამოაშკრავება ძნელია. უფრო მეტიც, კრიმინოლოგები გაცილებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დანაშაულის ეკონომიკური ასპექტების კვლევას, ვიდრე ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ კვლევებს დანაშაულის მიზეზებზე. სოციოლოგიურმა კრიმინოლოგიამ, რომელიც სულ უფრო მეტად დომინირებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ფართო სოციალ-დემოკრატიული პერსპექტივა დაიკავა დანაშაულის შესახებ, და ის „ხედავს დანაშაულს, როგორც სოციალური გაუცხოვების და უთანასწორობის შედეგს” (რეინერი, 2006: 28). შემდეგი ნაბიჯი არის ამგვარი კავშირის ზოგიერთი მტკიცებულების განხილვა.

სოციალური უთანასწორობა და დანაშაულის დონე

მთელი რიგი კვლევები უთითებენ ეკონომიკურ უთანასწორობასა და დანაშაულს შორის (ძალადობრივი და ქონებრივი დანაშაული) კავშირზე, ქვეყნის შიგნითა და ქვეყნებს შორის (კელი, 2000; დემომბინისი და ოზლერი, 2005). ამგვარი კვლევები, როგორც წესი, იყენებენ შემოსავლის უთანასწორობას, როგორც პირველად საზომს. ბლაუ და ბლაუ (1982), რომლებმაც შეისწავლეს 125 დიდი ქალაქი, დაადგინეს მყარი კავშირი ეკონომიკურ უთანასწორობასა და ძალადობრივ დანაშაულს შორის, მაგრამ მას შემდეგ რაც ეკონომიკური უთანასწორობა კონტროლდებოდა, სიღარიბის მაჩვენებელი გავლენას არ ახდენდა კრიმინალური ძალადობის მაჩვენებლებზე. ამის მიუხედავად, 90-იანი წლების დასაწყისში, ჰსიე და პუგი ამბობდნენ, რომ ამ ეტაპზე არსებობდა „მზარდი კონსენსუნსი, რომ ზოგადად, რესურსების შემცირება ძალადობრივი დანაშაულის საფუძველია” (1993:

182). ახლახან, ფაინზილბერმა და სხვებმა (1998, 2002a, 2002b) აჩვენეს რომ, არსებობს ძლიერი კავშირი შემოსავლის უთანასწორობასა და მკვლელობას და ყაჩაღობას თუ ძარცვას შორის (იხ. აგრეთვე მესნერი და როზენფელდი, 1997). ელგარის და აიტკენის (2011) მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ ძლიერი კავშირია შემოსავლის უთანასწორობასა და მკვლელობის დონის საერთაშორისო ცვალებადობას შორის და ეს უკავშირდება ინტერპერსონალური ნდობის უფრო დაბალ დონეს, იმ საზოგადოებებში, რომლებიც ხასიათდება შემოსავლების შედარებით მაღალი უთანასწორობით. ეს ნაშრომი ალბათ პირდაპირ მიემართება ჩიკაგოს სკოლაზე დაფუძნებულ კრიმინოლოგიურ თეორიას, რომელიც უთითებს სოციალურ მოწყობაზე, პოპულაციის ბრუნვაზე და ადგილობრივი სამეზობლოების ბუნებასა და მდგომარეობაზე, როგორც ძალადობის განსხვავებული დონის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებზე (შოუ და მაკკეი, 1942; სამსსონი და ვილსონი, 1995; სამფსონი და სხვები, 2005). მათი არგუმენტი გარკვეულ მხარდაჭერას პოულობს კენედის და სხვების ნაშრომში (1998: 15), რომლის მიხედვითაც, ძლიერი კავშირი შემოსავლის უთანასწორობასა და მკვლელობასა და სხვა ძალადობრივ დანაშაულებს შორის, შეიძლება მიეწეროს „სოციალური კაპიტალის გამოფიტვას“ (იხ. თავი 4, ეს ტომი).

ამ სფეროში ადრეული ნაშრომების ნაწილზე დიდი გავლენა მოახდინა გარი ბეკერის (1968) ეკონომიკურმა თეორიამ, რომელიც შეეხებოდა რაციონალური არჩევანის მიდგომას და რომლის თანახმადაც, მზარდი უთანასწორობა სავარაუდოდ, უფრო მეტ დანაშაულს გამოიწვევს დანაშაულის შედეგად მოსალოდნელ სარგებელსა და ხარჯს შორის არსებული დისბალანსის გამო.[1] ეს თეორია ეხებოდა ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ჩადენილ დანაშაულს და ბევრმა ავტორმა მათსავე კვლევებში ეჭვქვეშ დააყენა ამ თეორიის ადეკვატურობა ძალადობრივი დანაშაულის ახსნის პროცესში (მაგალითად, ნიუმეიერი 2003, 2005). კელიმ (2000) დაადგინა, რომ სიღარიბე მცირე გავლენას ახდენს ძალადობრივ დანაშაულზე, განსხვავებით უთანასწორობისგან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ძალადობრივ დანაშაულზე. ხოლო უთანასწორობა უფრო მცირე გავლენას ახდენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ვიდრე სიღარიბე. შედეგად, იგი მიიჩნევს, რომ ბეკერის ეკონომიკური თეორია აქ განსაკუთრებით გამოსადეგი არ არის და ამტკიცებს, რომ დაძაბულობის თეორია (Strain Theory) (რომელიც ფოკუსირდება სოციალურად მიღებულ მიზნებს და მის მისაღწევად არსებულ ლეგიტიმურ

[1] იგულისხმება Cost benefit analysis

შესაძლებლობებს შორის გაჩენილ უფსკრულზე) და კონტროლის თეორიის ვარიაციები (სუსტი ოჯახური და საზოგადოებრივი კავშირების მნიშვნელობის შესახებ), ამ შემთხვევაში უფრო გამოსადეგი იქნებოდა.

დიდ ბრიტანეთში, საპოლიციო ძალების სამოქმედო ტერიტორიებზე მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მაჩინმა და მეგირმა (2004) დაადგინეს, რომ დაბალი ანაზღაურების მქონე მუშაკთა ხელფასების ფარდობითმა დაქვეითებამ 1975 და 1996 წლებში გამოიწვია დანაშაულის, განსაკუთრებით ავტომობილებთან და ქონებასთან დაკავშირებული დანაშაულების, ზრდა. ამის საფუძველზე ისინი ამტკიცებენ, რომ ეს შეიძლება იყოს გამოწვეული დაბალი ანაზღაურების მქონე შრომის ბაზრის ხასიათით, რომელიც უფრო მეტ გავლენას ახდენს დანაშაულის მაჩვენებელზე, ვიდრე უმუშევრობის დონე. ნილსონის (2004) მიერ შვედეთში ჩატარებულმა კვლევამ, აჩვენა დაბალი შემოსავალის მქონე მოსახლეობის პროპორციის ზრდისა და ქონებრივი დანაშაულის უფრო მაღალ მაჩვენებლებთან პირდაპირი კავშირი, დაადგინა, რომ უმუშევრობის მაღალი დონე დაკავშირებულია საერთო დანაშაულის ზრდასთან, ავტომობილის ქურდობისა და ყაჩაღობის გახშირებულ შემთხვევებთან.

ვითმა და სხვებმა (1999) დაადგინეს, რომ ანაზღაურების მაღალი უთანასწორობა, რომელიც დაკავშირებულია სრულ განაკვეთზე მომუშავე კაცების ყოველკვირეული შემოსავლის განაწილებასთან (გვიან თანამედროვე ეკონომიკაში ალბათ უფრო ნაკლები მნიშვნელობის მატარებელია), დანაშაულის მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. ჰიკსის და ჰიკსის (2014) მიერ გამოქვეყნებული კვლევები ამ საკითხს ოდნავ განსხვავებულად ეხმიანება, შემოსავლის უთანასწორობის გვერდის ავლით ფოკუსირდება აშშ-ს შტატებში ხილული მოხმარებისა და დანაშაულებრივი ქცევის განაწილების ღონისძიებებზე, 20-წლიან პერიოდში. უპირველეს ყოვლისა, მათი შედეგები ამყარებს კელის (2000) მტკიცებას, რომ, როგორც ჩანს, ძალადობრივი და ქონებრივი დანაშაულები სხვადასხვა სქემებით მიმდინარეობენ. კავშირი, რომელიც იდენტიფიცირდება საკუთრების წინააღმდეგ მიართულ დანაშაულსა და მოხმარებას შორის მყარია, როცა უთანასწორობა ეხება ხილულ ხარჯებს და აქ არ მოიაზრება უთანასწორობა ჯამურ ხარჯებში. ამაზე დაყრდნობით ისინი ამტკიცებენ რომ „ხილულობა“ მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღების მომენტში და უთითებენ, რომ შედარებითი დეპრივაციის თეორიები ყველაზე ნათლად წარმოაჩენს ამ თეზას (იხ.

რუნციმანი, 1966, თავი I ამავე ტომში), და ტრადიციული ეკონომიკური თეორიები, რომელსაც კელი აჩვენებს, მკაცრად დასაზღვრულია.

ურთიერთკავშირი დანაშაულსა და უთანასწორობას შორის ნათლად ჩანს ეროვნულ დონეზე. ინგლისსა და უელსში პოლიციის მიერ შედგენილი დანაშაულის სტატისტიკაზე დაფუძნებული ანალიზი აჩვენებს, რომ უთანასწორობა, არის პოზიტიურად და საკმაოდ ძლიერად დაკავშირებული ქურდობასთან, ძარცვასთან, ძალადობასთან, ავტოდანაშაულთან და ნაკლებად, თუმცა ასევე დაკავშირებულია დანაშულების შედეგად დამდგარ ზიანთან (ვიტვორსი, 2011). ვიტვორსის შედეგები ყველაზე მეტად ეხება ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ჩადენილ დანაშაულებს, სხვა ყველაფრის თანასწორობის პირობებში 1%-იანი ზრდა უთანასწორობაში არის დაკავშირებული ყაჩაღობის 0.2%-იან ზრდასთან, ძარცვის 0.28%-იან ზრდასთან და ავტომობილებთან დაკავშირებულ დანაშაულის 0.27%-იან ზრდასთან (2011: 32-33). ცვლადების ფართო სპექტრის ანალიზის საფუძველზე ვიტვორთი ამტკიცებს, რომ მისი შედეგები უფრო მეტად ესადაგება სოციალურ უწესრიგობას და დაძაბულობის თეორიას, ვიდრე ბეკერის ეკონომიკურ თეორიას.

სისტემურ მიმოხილვაში რუფრანკოსი და სხვები (2013) უთითებე რომ „მიუხედავად საპირისპირო მტკიცებულებების არსებობისა, განგრძობადი უთანასწორობის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ურთიერთდამოკიდებულების დასამტკიცებად ძლიერი არგუმენტების მოყვანა შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი დანაშაულის ახსნა უფრო კომპლექსურია, მათი მოსაზრებით, მკვლელობა და ყაჩაღობა გარკვეულწილად განპირობებულია შემოსავლის უთანასწორობის ცვლილებით, ხოლო ისეთი დანაშაულები, როგორიცაა თავდასხმა ან გაუპატიურება, ნაკლებად არის განსაზღვრული და დიდია შანსი, რომ იყოს დაფარული, დანაშაულის შეტყობინებასთან დაკავშირებული განსხვავებებისა და სხვა განმაპირობებელი ფაქტორების გამო.“

სოციალური მოწყვლადობა, დანაშაულის ჩადენა და ვიქტიმიზაცია

ახლა განვიხილავთ ისეთ საკითხს, როგორიც არის კავშირი მატერიალურ და სოციალურ მოწყვლადობას, დანაშაულის ჩადენისა და ვიქტიმიზაციის ფორმებს შორის. დავიწყოთ დანაშაულის ჩადენით, რადგან უდავოდ დამტკიცებული კრიმინოლოგიური ფაქტია, რომ ჩადენილი დანაშაულის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც სასამართლოებში ხვდება, იმ ადამიანების მიერ არის ჩადენილი, რომლებიც შედარებით დაბალ სოცილურ

ფენას მიეკუთვნებიან. მართლაც, დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების დიდი რაოდენობა დანაშაულის ჩამდენთა სიაში ხვდება, იმის მიუხედავად თუ როგორი მეთოდოლოგიით გავზომავთ დანაშაულის ჩადენის სტატისტიკას. ბრეითვეიტი (1973: 62), მაგალითად, აღნიშნავს, რომ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ზრდასრულები ისეთი ტიპის დანაშაულებს სჩადიან, რომელსაც უფრო ხშირად იძიებს პოლიცია, ვიდრე საშუალო სოციალური კლასის ზრდასრული ადამიანები. სანამ ამ ურთიერთდამოკიდებულების ახსნას შევუდგებით, უნდა განვიხილოთ სოციალურად მოწყვლადი ფენების დანაშაულებები.

ბოლო წლების განმავლობაში კრიმინოლოგიური ლიტერატურის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობდა აკადემიური (და სოციალური) ყურადღება გადაეტანა „სოციალურ ზიანზე“, ეს შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური და ეკონომიკური. ასეთი მიდგომა, მიიჩნევა, რომ ყურადღებას უთმობს ისეთ მივიწყებულ პრობლემებს, როგორიცაა დასაქმების ადგილზე ჯანრთლეობის დაზიანება ან გარდაცვალება, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კორპორაციის მიერ ჩადენილი დანაშაული, კორუფციული დანაშაულებები და სხვა. ასევე, ისეთი დანაშაულებები, რომლებიც სახელმწიფოების მიერ არის ჩადენილი (დეივისი და სხვები, 2014). სახელმწიფოები და აკადემიკოსი კრიმინოლოგები ხშირად ფოკუსირდებიან დანაშაულებზე, რომელიც ჩადენილია ძალაუფლების არმქონე პირების მიერ და უფრო ნაკლებად - ძალაუფლების მქონე პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, იმის მიუხედავად რომ ამ უკანასკნელს ძალიან დიდი და მასშტაბური ზიანის მოტანა შეუძლიათ. მართლაც, ტომპსის და ვაითის (2015: 3-4) დაკვირვებით, ნამდვილად გასაოცარია, რომ „2007-20008 წლების დიდი გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან 6 წლის გასვლის შემდგომ, ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებებში, რომელმაც მიუხედავად კრიზისის შედეგებისა, ფუნდამენტურად არ შეცვალეს კორპორატიული სექტორის, მათ შორის, არც ფინანსური სექტორის კონტროლის პოლიტიკა. ამ დროის მანძილზე ჩვენ არ გვინახავს კონცენტრირებული ძალისხმევა ან ბრძოლა კორპორატიული დანაშაულის წინააღმდეგ, მეტიც, ჩვენ ვნახეთ ამის საპირისპირო რამ. ძნელია იმის აღიარება, რომ ჩვენ გვიწევს დავუბრუნდეთ უფრო ტრადიციულ ფოკუსს, რომელიც ეხება მატერიალურ და სოციალურ მოწყვლადობასა და დანაშაულს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ამ ცნებების სრულიად ორდინალური გაგებით.“

თუკი ამ თავის დასაწყისში ჩვენ ვისაუბრეთ სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებსა და დანაშაულის ჩადენას შორის სტრუქტურულ ურთიერთკავშირზე, აქ მსჯელობის მთავარ თემას ინდივიდების ცხოვრება წარმოადგენს. გასული საუკუნის მეოთხედის განმავლობაში განსაკურებით დიდი ყურადღება დაეთმო დანაშაულის ჩადენის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა რისკის, წამახალისებელი და დამცავი ფაქტორები. რისკფაქტორები წინასწარ განჭვრეტენ შემდეგი დანაშაულის ჩადენის ალბათობას. ასეთი ფაქტორები კუმულატიურად და ინტერაქციულად მუშაობენ. წამახალისებელი ფაქტორები წინასწარ განჭვრეტენ დანაშაულის არჩადენას შანსებს, დამცავი ფაქტორები არიან ისინი, რომელიც წინასწარ განსაზღვრავენ ცნობილ დამნაშავეთა ჯგუფების მიერ დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის ტენდენციას. რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, ინდივიდუალურ, ოჯახის, სკოლის და სამეზობლოს დონეებზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები სწავლობს სოციო-ეკონომიკური სტატუსისა და დანაშაულის ჩადენის რისკს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. მაგალითად, კემბრიჯის დანაშაულებრივი ქცევის განვითარების კვლევამ ცხადყო, რომ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახში, 8-10 წლის ასაკში მყოფი ბიჭებისათვის მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა იყო განმსაზღვრელი ფაქტორი ჩადენილი დანაშაულის არაოფიციალურად გაცხადების დროს (ფარინგტონი, 1992). იგივე შედეგებს აჩვენებს პითსბურგის ახალგაზრდების კვლევა, რომელიც შეეხება მძიმე, განმეორებად დანაშაულებს (სტაუტ ჰამერლობერი და სხვები. ასევე, იხ: პლად პეიჯი და სხვები, 2000). გასაკვირი არ არის, რომ არსებობს ბევრი კვლევა, რომელიც რამდენიმე შემაკავებელ ფაქტორზე უთითებს, მაგალითად მშობლების უნარ-ჩვევებზე თავიანთ შვილებთან ურთიერთობის დროს (ლარზელერი და პატერსონი, 1990), ფიზიკური დასჯის მეთოდებზე, ოჯახის სიდიდეზე, ქცევის პრობლემებზე. მაგალითად, როგორიცაა გართულებული ქცევა, სკოლის პერმანენტული გაცდენა (ფერგიუსონი და სხვები, 2004), რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ოჯახის სოციო-ეკონომიკურ სტატუსთან, ისე დანაშაულის ჩადენის ალბათობასთან. ცხოვრება ღარიბ და/ან ხშირი დანაშაულების ჩადენის ადგილებში, არის რისკფაქტორი შემდგომი დანაშაულის ჩადენის დროს. ფაბიო და სხვები (2011) ამტკიცებენ, რომ მოწყვლადი თემიდან ახალგაზრდა ბიჭები უფრო მიდრეკილნი არიან ძალადობისკენ და ინარჩუნებდნენ ძალადობრივი ცხოვრების სტილს გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიდრე მათი თანატოლები უკეთესი სოციო-ეკონომიკური პირობებით (იხ. ვიქსტრომი და ლობერი, 2000). ამ მხრივ არსებობს მტკიცებულება,

რომელიც მხარს უჭერს ზოგად ცოდნას და კრიმინოლოგიური თეორიის მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური მდგომარეობიდან მომდინარე სტრესი არის დანაშაულის ჩადენის მამოტივირებელი გარემოება (ქლოვარდი და ოლინი, 1960; მერტონი, 1968).

რა შეიძლება ითქვას დემოგრაფიულ განსხვავებების შესახებ? სემპსონი და სხვები (2005 წელი), მათ კვლევაში ჩიკაგოს სამეზობლოების შესახებ, ცდილობენ ახსნან ის ფაქტი, რომ შავკანიანების შემთხვევაში ძალადობის ჩადენის ფაქტი 85%-ით უფრო მაღალია, ვიდრე თეთრკანიანების შემთხვევაში, ხოლო ლათინოამერიკული თემის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათონა 10%-ით დაბალია. ისინი დაასკვნიან, რომ სამეზობლოს ფაქტორი გადამწყვეტია ამ განსხვავებების ახსნაში და უთითებენ, რომ მათი შედეგები ეთანხმება ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ შავკანიანები ცხოვრობენ სეგრეგირებულ სამეზობლოებში და მათზე განსხვავებულად ზემოქმედებს რისკისა და დამცავი ფაქტორები (2005, 2:230). სიმართლეს წარმოადგენს ის, რომ ინდივიდუალურ, ჯგუფურ და სტრუქტურულ ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება დანაშაულის ჩადენის თაობაზე არის კვლევის ის სფერო, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას. დანაშაულსა და სოციალურ მოწყვლადობას შორის ურთიერთდამოკიდებულება იყო და იქნება სადავო მსჯელობის საგანი. განსაკუთრებით 80-იან წლებში დებატები მიმდინარეობდა მემარცხენე რეალისტებს, (ვისთვისაც შედარებითი დეპრივაცია განმაპირობებელი ფაქტორი იყო დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის ახსნის პროცესში, იუნგი, 2002) მემარჯვენე რეალისტებს და ე.წ. "underclass" თეორიტიკოსებს შორის, ვისთვისაც დანაშაულის ჩადენა მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული მახასიათებლების, მისწრაფებების და ინდივიდუალური არჩევანის საკითხი იყო (მიურეი, 1990). ორივე პერსპექტივას თავისი პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა სხვადასხვა დროს - მათთვის ვინც უფრო მემარცხენე იდეოლოგიისკენ იხრებოდა, გამოსავალი სტრუქტურული ფორმით იყო წარმოდგენილი, ხოლო მემარჯვენეთათვის ფოკუსი აშკარად ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე მოდიოდა (თუმცა, მთავრობების პოლიტიკებს შორის განსხვავებები შედარებით მცირე იყო).

დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი სოციალურ ფენებს შორის არათანაბრად არის წარმოდგენილი, ასევე არათანაბარია კრიმინალური ვიქტიმიზაცია. ადრეული და მნიშვნელოვანი კვლევები გამოყოფენ ცხოვრების სტილისა და რუტინული საქმიანობების მნიშვნელობას (როგორ აორგანიზებენ და ატარებენ ცხოვრებას ადამიანები)

ვიქტიმიზაციის რისკების ახსნის პროცესში (ჰინდელანგი და სხვები, 1978; კოენი და ფელსონი, 1979). ეს უპირისპირდება სოციალური უწესრიგობის თეორიებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის ტერიტორიები სადაც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვეა და რომლებიც ხასიათდებიან ეთნიკური ჰეტეროგენურობით და საცხოვრებლის ხშირი ცვალებადობით, დანაშაულის მაღალი მაჩვენებელით გამოირჩევიან (შო და მაქკეი, 1942).

რამდენიმე მიზეზი არსებობს, რის გამოც მოსალოდნელია კავშირი სოციალურ უთანასწორობასა და დანაშაულის ვიქტიმიზაციას შორის. პირველი, ესაა სოციალური მოწყვლადობა, რომელიც ასოცირდება მაღალი დანაშაულის ადგილებში ცხოვრების ალბათობასთან. მეორე, სოციალურად დაუცველებს ალბათობის მაღალი ხარისხით ნაკლები თავდაცვის საშუალებები აქვთ შესაძლო მსხვერპლობისგან თავის დასაცავად. და ბოლოს, არსებობს ჰიპოთეზა, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები ნაკლებად დაიცავენ თავს კრიმინალური ვიქტიმიზაციის უარყოფითი შედეგებისგან. 1970-იანი წლებიდან აშშ-ში, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისიდან ინგლისსა და უელსში, ვიქტიმიზაციის მონაცემების არსებობა დანაშაულის სოციალური გადანაწილების უფრო ზუსტი შესწავლის საშუალებას იძლევა, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო მანამდე. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კვლევების დიდმა ნაწილმა აჩვენა, რომ მრავალი ფაქტორი - მათ შორის, არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სოციალურ საცხოვრისებში ცხოვრება, რამდენიმე ოჯახის ერთ სივრცეში მჭიდროდ ცხოვრება და მარტოხელა მშობლობა დაკავშირებულია კრიმინალური ვიქტიმიზაციის რისკთან (გროუვი და სხვები, 2012). ვოლფარტის და სხვების კვლევამ (2001:364) ჰოლანდიის მოსახლეობის რეპრეზენტატიული ნიმუშის საფუძველზე დაადგინა აშკარა კავშირი სოციალურ ფენასა და ვიქტიმიზაციას შორის, რაც ცხადყოფს, რომ უმუშევრობა ვიქტიმიზაციის ყველაზე მაღალ რისკებს შეიცავს (11%), ჯამურად, ყველა სხვა ფენასთან შედარებით (6%). მსგავს შედეგებს აჩვენებს ინგლისისა და უელსის დანაშაულის კვლევა (CSEW), რომელიც ცხადყოფს, რომ მაგალითად ქურდობის და ყაჩაღობისა მსხვერპლობის რისკები პირდაპირ დაკავშირებულია ადგილობრივ თემში უმუშევრობის დონესთან (სემპსონი და ვურდრიჯი, 1987). ძალადობრივი ვიქტიმიზაციის რისკი კი უკუპროპორციულად დაკავშირებულია შემოსავალთან (ბრენანი და სხვები, 2010).

ტრიკეტის და სხვების (1992) თანახმად, ის, რომ ზოგიერთ ტერიტორიებში დანაშაულის დონე ქრონიკულად მაღალია, კრიმინოლოგებისთვის ერთერთი ყველაზე საინტერესო და ორიგინალური საკითხია. მათი ანალიზით, დანაშაულის კვლევის მონაცემებით

დადგინდა, რომ პირის მიმართ დანაშაულის მაჩვენებელი დაახლოებით 11-ჯერ მეტია ღარიბ უბნებში, მდიდარ უბნებთან შედარებით, ხოლო ქონებრივი დანაშაულის შედარებისას განსხვავება 4-ჯერ დიდია. მათ ასევე დაადგინეს, რომ მსხვერპლის დაუცველობა (შეტყობინებული დანაშაულის რაოდენობა საშუალოდ თითო მსხვერპლის მხრიდან) როგორც პერსონალურ, ისე ქონებრივ დანაშაულებთან მიმართებაში, სამჯერ მეტია ღარიბ უბნებში, ვიდრე მდიდარ უბნებში. ცენოლი და სხვები (2002) ადგენენ, რომ საოჯახო დანაშაულის უთანასწორობა ქალაქის შიდა უბნებში უფრო მკაფიოა, ხოლო მდიდარ რაიონებში ქონებრივი დანაშაულები უფრო თანაბრად არის გადანაწილებული. მათი შეფასებით, ტერიტორიების მიხედვით ყველაზე დიდი უთანასწორობა მოდის ყველაზე მეტად რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებზე - დაბალი სოციალური ფენის მაცხოვრებლებში იზრდება დანაშაულის კონცენტრაცია უფრო მეტად, ვიდრე იზრდება დანაშაულის პრევალენტობა (ე.ი. განმეორებითი და მრავალჯერადი ვიქტიმიზაციით). ტრიკეტი და სხვები (1992) აჩვენებენ, რომ დანაშაულის გადანაწილება სხვადასხვაგვარია იმ ტერიტორიებზე სადაც არის „დაბალი დანაშაულის მაჩვენებელი“ და „მაღალი დანაშაულის მაჩვებენელი“. მოკლედ რომ ვთქვათ, სადაც დანაშაული შემთხვევითობის პრინციპით არის გადანაწილებული, შინამეურნეობებში, დაბალი დანაშაულის მაჩვენებლის მქონე რაიონებში, ეს არის არაპროპორციულად კონცენტრირებული შინამეურნეობების მცირე რაოდენობაზე დანაშაულის მაღალი დონის მაჩვენებელის ტერიტორიებში. მომხდარი დანაშაულის ტერიტორიული ნიშნით დამუშავებულ სტატისტიკაში ზედა დეცილში მსხვერპლები საშუალოდ განიცდიან თითქმის სამჯერ მეტ პერსონალურ დანაშაულს (personal crime) ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დანაშაული შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდებოდა. სწორედ მსგავსმა დასკვნებმა უბიძგა კრიმინოლოგებს ყურადღება გაემახვილებინათ განმეორებით და მრავალჯერადი ვიქტიმიზაციის იდეებზე. მაგალითად, ბრიტანეთში, 1998 წლის დანაშულის კვლევის მონაცემებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 3/5 არ გამხდარა არც ერთი დანაშაულის მსხვერპლი წლის განმავლობაში, სრული, ჯამური დანაშაულებრივი ქმედებების 44%-ის მსხვერპლი მხოლოდ მოსახლეობის 5% გახდა (ფარელი და პისი, 1993). ჰოუპის (2001) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახური საკუთრების დანაშაულის მსხვერპლთა დაახლოებით 1/5 ცხოვრობს ყველაზე მაღალი დანაშაულებრივი მაჩვენებლის უბნების 10%-ში. ეს სეგმენტი არის მთლიანი ოჯახური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მესამედის მსხვერპლი. ქონებრივ დანაშაულთა მთლიან წილში, ნახევარზე მეტი ხდება ინგლისსა და უელსში. მთლიანი

ქონებრივი დანაშაულის მსხვერპლთა 1/3-დან, 1/5-ს ინგლისისა და უელსის საზოგადოების წევრები შეადგენენ და პირიქით, დანაშაულის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის თემის ნახევარი, შეადგენს საოჯახო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლთა 15%-ს. მაშინ რა არის დანაშაულის გავლენა? დანაშაულის ვიქტიმიზაციის გაზრდილი რისკების მიღმა არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ისინი ვინც ცხოვრობენ ისეთ ადგილებში, რომლებიც ხასიათდება ფიზიკური არეულობის მაღალი დონეებით ან ისინი ვინც მიიჩნევენ, რომ მათ საცხოვრებელი ტერიტორია ანტისაზოგადოებრივი ქცევის მაღალი დონით ხასიათდება, ზოგადად დანაშაულს და დანაშაულის შიშს აფასებენ, როგორც ზომიერი ან მაღალი გავლენის მქონეს მათი ცხოვრების ხარისხზე (ნიკოლასი და სხვები, 2007). ანტისოციალური ქცევის გავლენაზე ბოლო დროს ჩატარებულმა მუშაობამ დაადგინა, რომ ტერიტორიული გარემო, მნიშვნელოვნად და უარყოფითად იყო დაკავშირებული ანტისოციალური ქცევის განმეორებითი და მოწყვლადი მსხვერპლობის ალბათობასთან. მათ დაასკვნეს, რომ „განმეორებითი მსხვერპლის“ ან „განმეორებითი და დაუცველი მსხვერპლის“ ალბათობა მტკიცედ არის დაკავშირებული სიტუაციურ მოწყვლადობასთან, რომელიც გამოწვეულია სოციალური დემოგრაფიული სიდუხჭირით. არაგანმეორებითი და არამოწყვლადი მსხვერპლის სტატუსი უფრო მეტად ასოცირდება არამოწყვლადი სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლებით. მათ შორისაა დაბალი ტერიტორიული დეპრივაცია და საცხოვრებლის საკუთრება (ინესი და ინესი, 2009).

